ბავშვის თეატრი

ტფილისი. 1920 ნოემბერი.

№ 1.

ბალდადის წეროები

შინაარსი:

სიმონ ჩიქოვანი—ვალპურგიის ღამე.

ჰერკულეს ყანჩელი—Memento mori.

გრიგოლ ორაგველიძე—თეთრი ზღაპარი.

გრიგოლ ზოდელი—1. ნალვლიანი სილუეტი

—2. ფიქრები ჩემზე.

Chal Romi—გრანდ ესპანი.

აკაკი ბერეკაშვილი—ანოემბრებისას.

გრიგოლ ორაგველიძე—1. მე და თებერვალი.

—2. თალხი რომანი: წმ. მარიამს.

სიმონ ჩიქოვანი—შენი ღიმილი შემოდგომის შეწუხებულ დღეებში.

მარგარიტა ფაქიზოსანი—ჩემს ზამთარს.

ს—ანი—ახალი პოეზიის ნიმუშები.

4 926

სარედაქციო კოლლეგია.

სიმონ ჩიქოვანი.

ვალპურგიის ღამე.

აკვნესდა ღამე. გაიფანტენ ცეცხლზე ძვალები;
არულს მოშორდა ტანჯვის ფიფქი, ღიმი ალმატროს;
ველი ჩაბარდა წითელ ფარჩებს დინჯი წვალებით
და თებერვალმა მთვარის სევდა გზებათ დაფატრა.
გვიშველის მოგვი. მან გამართა ცეცხლის არული,
ღამის სიმამრი ცეცხლზე თბება ამაყ მაგებით;
იწვის ძველები, იწვი ძონძი უკან ფარული
ფარდის სხივებზე ელვარებენ ოქროს შპაგები,
და შავი პრიცი მონაზებით, თაბახ—კვარებით
ველს ასურნელებს რომ ეხაროს ღამაზ ხათუნებს.
კივიან მთიდან მზის ჭინკები რუხ მზაკვარებით
და თებერვალის ჩქარი ცეცხლი ლოცვებს ადუნებს.
ცეცხლის მხედრები, ხმაურობენ ფოლად აღვირით,
გაქრა ოდები. უმძიმთ ტრფობა ქვიტკირის სახლებს.
ძრწიან გლახები, შეაშინებთ ცოდვა საყვირის,
კუდიანები მოგვძახიან ხელებს ნუ გვახლებს,
გაშრა ბილიკი, ქარვის ღელვა და ვნება ტუჩის;
ისმის ხმაური ჭინკებიდან ,,საშველი მოგვეც,''
იმსხვრევა რკინა, სპილენძები, თამაში თუჯი.
მზის შეჯიბრება გაიტაცებს ცისკენ თეთრ მოგვებს.
გრძელდება ღამე. და მოგვები ქმნიან ამინდებს,
ფანტავს არული შარგალიტებს ქსოვილ ფერადებს;
მისი მწვერვალი გაგიჟდება ცასაც ამინთებს.
არ იცის ღამემ;ვინ ჩააქრობს ცეცხლის პარადებს.

1920 წ. მაისი.

ჰერკულეს ყანჩელი.

Memento mori.

ბებერი ტაროსის ველური სასულე,
სამრეკლოს საყურეს არხევს სვენებით.
ო, რა რიგ იდევნის ნოემბრის ასულებს,
ესახო ქარების რუხი ჩვენებით.

ქარები ამტვრევენ ცრემლიან ნოემბერს,
დაორთქლილ ქოხებში სცვივა ყავრები;
მორწმუნე ტირილით იგონებს ნოე ბერს.
...ნეტავი ვინ დასთვლის რიცხვებს მგზავრების.

კაპასი ძალლები გალობენ „წმიდაო“-ს,
მაშინებს თვალები მე მარტო ორის,
ეს ჩუმი წამება ვინ უნდა იდაოს—
..თვალებში ვკითხულობ „Memento mori!..“

Chal Romi.

გრანდი ესპანი.

ოუჯის კუნთებით, გრანდი ესპანი,
ამაყ კარლოსის შპაგებს იგონებს.
პაჟის, ინფანტის, უცხო შავ ჰანის,
ავხორც ჰამლეტებს, ალზე იმონებს!

სახე ყვითელი, ყვითელ ნავარის,
ლეწავს ეშაფოტს, ჩონჩხთა კაროლის
გოთის ტაძრები, უხმო ავარი
ზარებს რეკავენ, ნამტვრევ პაროლის.

შავათ ურეკვენ, ამაყ ჰანიბალს,
დამწვარ სონატებს, თავის წარსულის,
იმის ხითხითით, ფიქრებს განიბანს
როგორც ზღაპარი, შავი, სპარსული!

ზარებს რეკავენ... ზარებს რეკავენ...
დამწვარ თვალებით, წითელ ალებზე
თავის ოცნებას, ცეცხლით, სეკავენ,
ცეცხლით სეკავენ, ჩონჩხის ხალებზე!

გრიგოლ ორაგველიძე.

თეთრი ზღაპარი.

ნ—ს

ქარის ნადიმზე დაირეკა ზარი სამრეკლოს,
ქარვის ქალამნით გადიარა ალბად ბალები,
სურს თავის ტოტებს შერჩეს ღიმი ხელი არ ეხლოს
და აიტაცოს სავსე ფიქრი; ჯვარცმით ნახლები.

ქარის ნერვებმა დაუდგომლივ გამილო ბინა
და ჩემს მკლავებში ატრიალდა ვით დედოფალი;
ო, მისი ჩერო შავ საღებით გამაღებინა
რომ ეს სიცოცხლე შევაბრუნო, ეს ბედის რკალი.

ვიცი ჩემ ქორწილს დაესწრება ისევ ეს ქარი
და ქარვის ფერად დაიკივლებს ოლარით ღვდელი;
ალბად შეკრთება იმ ლოცვაზე საცოლე ნარი,
თუ გაიხსენა ეს ზღაპარი მან გუშინდელი.

გრ. ზოდელი.

ნაღვლიანი სალუწი

ცა დაისერა თეთრი ნაღველით,
ფარფაშებს მთვარე ცახცახებს ქუჩა.
ხმა ჩახლეჩილი ქარი ახველებს,
ველურმა ვნებამ თმები აფუშა.
თვალები მოკვდენ სველ ფანჯარაზე
ფიქრებს მოედო ჭვარტლი და ლექი,
ველარ ვიქნები ფხიზელ დარაჯათ
ატირებს პალმებს ნოემბრის ჭლექი.
და მომინდება მე შენი ნახვა
გათბობა სულის, და მოკვლა ნდომის,
მაგრამ ძვირფასო ვერ შეინახავს
თეთრ საიდუმლოს დღე შემოდგომის.
აკვნესდა კარში კვლავ ნოემბერი,
ფოთლები ჰქრიან ყვითელ პეპლებათ.
რადგანაც ნაზ სულს ვერ მოეფერე
ამწვარ ფიქრებში აიფერფლება.

ფიქრები ჩემზე

ნოემბრის ქოშები დამძივდა ქარვებით,
დასუდრულ ოცნებას ატირებს შენდობა,
სნეული ფიქრების აშენდა კარვები,
დაფარულ გულისთქმას არავინ ენდობა,
დაკარგულ ბეჭდის თვალს დაეძებს პიეროო.
ელამი დასტირის დატეხილ სათვალეს.
მე ასე მასხარამ სანამდი ვიარო,
ამდენი შეშლილი სად უნდა დათვალო.
ცრუ ბედზე ტირიან ლანდები ჩემს ახლოს
უბინო ძალლების მაწუხებს წკმუტუნი.
ნუ მკითხავთ მეგობრებო, რაღაზე ვნაღვლობ
როცა მაქვს არაყი, როცა მაქვს თუთუნი.

აკაკი ბერეკაშვილი.

ანოტაციასა

მე დღემდე ვდარაჯობდი გზაჯვარედინზე, სიჭაბუკის ნორჩი ხელით
დაკრეფილ ყვავილების თაიგულით და შენ კი არსად სჩანდი.
მოვ ქანცე- დავსუსტდი შენს მოლოდინში.
თაიგულიც დასჭკნა აღმოსავლეთური ვნების სიმხურვალით,
მტვრის წყარით და ჩაკიდა ლამაზი ფურცლები შენს მკერდზე მიყრ-
დნობის მოლოდინში.
ეხლა შემოდგომა დადგა.
ჩემს სავალ გზას გაჩოჩხებულ ხეებს ყვითელი ფოთლები ტრიალითა
და ჩივილით დასცვივა.
აღარ ვიცდი. . .
მივდივარ აციებულ შემოდგომის გზით მოყენილ ზამთრისაკენ
თეთრი ზღაპრებით დასაფიფქავად.
მივდივარ, აღარ ვიცდი, რადგან ვიცი, რომ შენ გაზაფხულის
ფერად ყვავილების სტუმარი ხარ და წვეეაც გაზაფხულით იცი.
თან წავიღებ ამ დამჭკნარ თაიგულსაც და იქ, აი ამ სევდით
დანაცვენ გზის გასათავარში „მოლოდინის“ სასტიკი ღმერთის
სამსხვერპლოზე ავაბოლებ და დავფერფლავ . . .
ზარის გალობაც ისმის . . .
მშვიდობით . . . მშვიდობით . . . .
ეგებ თებერვლით შინ მივიდე . . .
მშვიდობით . . .

გრიგოლ ორაგველიძე

მე და თებერვალი.

თებერვლის ღამეებმა დამსერა, გულში ლახვარი ჩამცა მთვარის ალერსზე. მან დაფერფლა ჩემი სიხალისე და სიკვდილს მაამბორა. ვარ დავიწყეთული ვით ადრაგანი. ოცნება ემფატიურმა დაიდვა შავი კალტაფალკა და გამასვენეს. მთვარის ჩრდილში მახლავს მეწილე. ის თუმნობით ვაჭრობს, მე კი. . .

ჰო, მე, ფიქრებით. შარშან ვავყიდე ბლომად. დღესაც ბევრი მაქვს. არავინ არ სჩანს. დაჰქრიან მხოლოდ სავსე მაშრაფით ქიმერები. მართავენ ქორწილს... მაგრამ მე მაინც დამსერა თებერვლის ღამეებმა. გულში ლახვარი ჩამცა მთვარის ალერსზე.

თალხი რომანი: წმ. მარიამს.

ეს რომანი მოკლეა—შინაარსით კი ვრცელი. ორთავეს უყვარდა შემოდგომა. ქალი ოცნებობდა ჰლექიან სირინოზზე—კაცი კი ცოცხზე შემჯდარ ჯოჯოზე, მაგრამ სარჩული ერთია: სიყვარული

სიკვდილი იმდენად კარგია რამდენად ეს უახლოვდება სიყვარულს. ჰო და მოხდა.

სირინოზი დასჭკნა. ცოცხზე შემჯდარი ჯოჯო შერჩა ერთ მიყრუებულ აგარაკის კედელზე.

ვთქვი. სირინოზი უკვე დაიფერფლა. გაასვენეს. მთვარემ გაიცინა. დამბაჩამ იელეა და. . .

საფლავზე აგია ჯვარი. ცრემლი ტბათ ჩაუდგა და მისი სურათი გაფითრდა. არ იცოდა მან ასეთი სიყვარული თუ დასტოვა.

ამოვა მთვარე. ის დგას გაფითრებული და მღერის...

მღერის გედურად. მთვარის პანი დადის მის სარეცელზე. სურს გახდეს ქმარი, ისეთი როგორც სირინოზი მაგრამ ცდება. მას სხვა უყვარს. ის სხვას უყვარს.

მოვალ. გნახავ. შეგხედავ. მივეყრდნობი შენს მკერდს და...

არ შემიძლია. ავტირდები ბავშვივით შენს კალთაში მიყრუებულ აგარაკის მოგონებაზე.

მარგარიტა ფაქიზოსანი.

ჩემს ზამთარს.

მე ზამთრის ჯადო ვარ. ბევრჯერ შემკრთალა თოვლის ფიფქები ჩემს ეშხზე.

ერთხელ ვაჟი მოკვდა-და ჩემი ყელსახვევი თოვლში გასვრილი მას გადავაფარე. ვიცი: მე მას უყვარდი; მაგრამ მე მიყვარდა ზამთრის პანი და მუდამ მასთან დავდიოდი საალერსოდ.

ეშხი გაბრუვდა და გაღეღილ მკერდს დააკვდა. მე ისევ შენზე ოცნებობ. ვიცი მოხვალ. გაგენაზები. გავჯიუტდები მხოლოდ იმიტომ, რომ მე შენ მიყვარხარ; მხოლოდ იმიტომ რომ მიყვარს ზამთრის ფიფქები შენს ახალ აყრილ ულვაშზედ თეთრად მოელვარე.

1919 ზამთრის მოლოდინში.

სიმონ ჩიქოვანი.

შენი ღიმილი შემოდგომის დღეებში.

ღამეები ვრცელი. ანთებული ქალაქი და სადღაც კედლებთან კანკალით ოცნება შენზე. მომბეზრდა ტფილისი. ძონძები მამძიმებს. მატლები წიწკნიან გამხდარ ძვლებს. ხსნა სანთლების გადადმა იკარგება.

შემოდგომა და შეწუხებული დღეები ვით შენი ვადმოხედვა. მოხუცი ქუჩები სტირიან ჩემი სიბრალულით. შენს ბარათებს ჯიბით ვატარებ.

ვიცი გადვიტან. ეს შემოდგომაც გასვენდება ჩემ ოცნებით შექმნილ აივანთან. ძვირფასო, შენი ძილ გატეხილი სუნთქვა გამათბობს მოგონებათა იქეთ: ნუ იტირებ. გაღებულ სულს არ შეუძლიან მოშალიტების საძიებლად სიარული.

ხსნა მხოლოდ ღიმილით შეიძლება. გაიღიმე და შენს ცქერას გავარჩევ ამ დაკორძებულ ადვილ დღეებიდან. მაშინ სიცივე გაქრება და მეც არ ავკანკალდები სახლების კედლებზე შორის—ძონძებში მატლისაგან ნაწამებ სხეულით.

1920. 23 ოქტომბერი.

„ბარრიკადი“.

გამოვიდა ყოველ კვირეული გაზეთი „ბარრიკადი“, რომ მლის გამ ისვლამ აღაფრთოვანა ერთი ჯგუფი ახალგაზრდების. დიდიხანია რაც პოეზიით დასნეულებულნი ელოდენ „ბარრიკადი“-ს დადგმას. დიდიხანია, რაც ელოდენ ლიდიტის აფეთქებას ფილისტერთა ბანაკში და ჩვენც ველირსეთ.

დღეიდან მისი ავანგარდები გაიკაფავენ გზას თავისუფალ შემოქმედებისაკენ და ჩვენც რეზერვში მყოფნი ახალგაზრდობა მზად ვიქნებით რომ პირველ საჭიროებაზე გამოვიყვანოთ ჩვენი ძალა „ბარრიკადი“-ს შესანარჩუნებლად.

სარედაქციო კოლლეგია.

ს ანი.

ახალი პოეზიის ნიმუშები

რ. გვეტაძე. „დაბინდული ქარვები“ წიგნი ლექსების. გვეტაძე. არის ძლიერი ნიჭი, მხოლოთ პოეტის კულტურა ვერ სწვდება ნიჭს და პარალელი გაუყვანელი რჩება მათ შიარის.

წიგნი ანათებს პარნაგრაფიით და ხშირია ტუჩზე დაყრილი სტრ ქონები. წიგნში არის ცდა ბოგემის სიღრმეში ჩაწვდენის (მაგ. „ბოზები“.), მაგრამ პოეტი ვერ სცილდება თემას და ვღებულობთ ,,ქრისტინეს'' IV მოქმედების შთაბეჭდილებას. ბევრი არის ვულგარული თქმები, თითქოს კრუჩონიხის წაბაძვითი შედარებანი და შემთხვევითი გავლენები მოწინავე ქართველი პოეტების. (მაგ. ,,ცრემლები'' ნადირაძის ,,ბავშობის'' და ,,გასვენება'' გ. ტაბიძის ,,ათოვდა ზამთრის ბაღებს''.) პოეტი თავის ლექსებში ხშირათ ვერ პოულობს გამოსავალს. სანტიმენტალური გზა მისთვის უფრო საიმედო,

აქ ის წვდება თავის ნიღაბს და კიდევაც იმარჯვებს, ასეთები არიან ლექსები ,,ზამთრის ღამე'', ,,ღამე ნათევი ლექსი'' და ,,ყვითელი სტრიქონები'' აქვს მდიდარი რითმები და უყვარს თანხმოვანთა სიმრავლე ასო ,,რ'' და ,,ტ'' სარდლობით, რომელნიც იძლევიან ჭედვის განცდას. სათაური არის მწუხრის მოლოდინი შინაარსის განჭვრეტით.

შ. ამირეჯიბი. **„მინანქრები“** ლექსები. ,,მინანქრებში'' ლექსების ტექნიკა ვერ არის განვითარებული. ვერც ერთი ლექსი თავის ფორმით ვერ სცილდება ბანალურ ხაზს და წელში მოხრილი ლექსები ბატონობენ მთელ წიგნში. არის გამონაკლისებიც მაგრამ რითმები ყველგან ნაჯახირებია და იაფასიანი. პირადათ მომწონს, ,,ნიკოლაძეს'' და ,,მასკარადი'' თუმცა უკანასკნელშიც არის რითმისთვ ს წვალება. ზოგიერთი ლექსები პირდაპირ გადმოღებულია ჰეინედან. სეთაურიც ვ რ არის შესაფერი.

რ. გოგოხია **ზამთრის ჩუქურთმა** ლექსები. გოგოხიას აქვს თლილი თქმები. აქვს საკუთარი ინტუიც აც საგნის მიმართ. ირონიის გალმერთებით სურს პოეტს დაუახლოვდეს ლაფორგის შკოლას. მაგრამ ხშირათ შერევაც ხდება ირონიის და სატირის. ლექსები ზოგიერთები არის კარგი. ,,სათოვლად გაპატიჟებაში'' არის V ტაეპი რომელიც იგივე გამსახურდიას ,,ბერლინის'' უკანასკნელ ტაეპს წარმოადგენს. კარგია რითმა ,,ამისთვის'' ,,ამეტვისთოს''.

თანამშრომლები ანბანზე: აკაკი ბერეკაშვილი, არჩილ ბენაშვილი, გრიგოლ ზოდელი, ირაკლი კანდელაკი, პლატონ ლომაძე, პრ. ოდიშელი, გ. იგოლ ორაგველიძე, მარგარიტა ფაქიზოსანი, ჰერკულეს ყანჩელი, Chal Romi და სხვანი.

ამ მოკლე ხანში ქუთაისის ახალგაზრდა ხელოვანთა წრე „წინსვლის ემბლემა" გამოსცემს თვიურ ჟურნალს.

ᲪᲐ 333
1920

10 თუმანი.